



საქართველო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL

N 3035
28/06/2019

ზუგდიდი

3035-02-4-201906281755



მერის ბრძანება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის
რეორგანიზაციის დაწყების შესახებ

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, ეფექტიანი მმართველობის უზრუნველსაყოფად ადეკვატური სტრუქტურის შექმნის და მოქალაქეთა ინტერესებზე/საჭიროებებზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების მიზნით აუცილებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში დაწყებულ იქნეს რეორგანიზაციის პროცესი, რომელიც მოიცავს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელებას, შესაბამისი სამსახურის/სამსახურების მიზნებისა და ფუნქციების, საჯარო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობების ახლებურ განსაზღვრას, ასევე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მთლიანად ან/და ნაწილობრივ ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, შტატების გადაადგილებას ან/და შემცირებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის; საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე და 53-ე მუხლების; „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლის პირველი პუნქტის; „პროფესიული საჯარო მოხელის მოხილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების და „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N3 დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

- დაწყებულ იქნეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის პროცესი.
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის პროცესი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდეს 3 ეტაპად:
 - პირველი ეტაპი - რეორგანიზაციის დაგეგმვა;
 - მეორე ეტაპი - რეორგანიზაციისთვის აუცილებელი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტების შემუშავება;
 - მესამე ეტაპი - რეორგანიზაციის შედეგად შტატების შემცირებისას გასათავისუფლებელ მოხელეთა მოხილობა.

3. დაიწყო რეორგანიზაციის პირველი ეტაპი - რეორგანიზაციის დაგეგმვა და განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის შედგენაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - ირაკლი ამანათიძე.
4. რეორგანიზაციის დაგეგმვაზე პასუხისმგებელმა პირმა (ი. ამანათიძე) არაუგვიანეს 2019 წლის 8 ივლისისა უზრუნველყოს:
 - ა. რეორგანიზაციისთვის განსახორციელებელი გეგმის შემუშავება და წარმოდგენა.
 - ბ. რეორგანიზაციის მეორე ეტაპის დაწყებისათვის შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის შემუშავება, რომლითაც განისაზღვრება რეორგანიზაციის შემდგომი ეტაპების განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა (ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი; მერიის პირველი მოადგილე; მერიის მოადგილე; ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი; ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი; ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი) და სხვა გასატარებელი ღონისძიებები.
5. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას (ი. ამანათიძე) აცნობოს სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში რეორგანიზაციის დაწყების შესახებ.
6. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებას (ვ. მოსიძე) და ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას (ი. ამანათიძე) ბრძანების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ყველა საჯარო მოხელისათვის გაცნობა.
7. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას (მ. თოდუა) ბრძანების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე (<http://zugdidi.mun.gov.ge/>) გამოქვეყნება.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. №12).

გიორგი შენგელია

მერი

